

## „მოსე ზამთარაძის ნაამბობი“- შემაჯამებელი გაკვეთილი

ეკა ცხადაია,

ხობი, ნოჯიხევის #2 საჯარო სკოლა

**გაკვეთილის თემა:** ჭაბუა ამირეჯიბის „მოსე ზამთარაძის ნაამბობი“- ნაწყვეტი რომანიდან „დათა თუთაშხია“.

ქართული ენა და ლიტერატურა, მე-9 კლასი

დაწყვილებული გაკვეთილი

**მიზანი:**

ამოიცნოს და განსაზღვროს ნაწარმოების კონცეპტუალური იდეა, ავტორისეული პოზიცია. სწორად ჩამოაყალიბოს ნაწარმოებში გადმოცემული პრობლემა; შეძლოს განზოგადება, რეალურ ცხოვრებაში მსგავსი პრობლემის იდენტიფიკაცია.

**ესგ-სთან შესაბამისობა**

მიმართულება: ზეპირმეტყველება

**ქართ. IX. 1.** მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და აუდიტორიის წინაშე წარმოადგინოს სხვადასხვა თვალსაზრისი სადავო ან პრობლემურ საკითხზე.

მიმართულება: კითხვა

**ქართ. IX. 6.** მოსწავლეს შეუძლია პრობლემურ ან სადავო საკითხებზე სხვადასხვა თვალსაზრისის შემცველი მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება-განალიზება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

**მედიაწიგნიერების მიზნები:**

- სიტყვების ძალის გაცნობიერება, მედიაპროდუქტში გამოყენებული ვიზუალური ხატების აუდიტორიაზე ზეგავლენის შეფასება.

**გამოყენებული აქტივობები:**

1. გონებრივი იერიში
2. ჯგუფური მუშაობა
3. დისკუსია
4. სქემები

„მოსე ზამთარაძის ნაამბობი“ - შემაჯამებელი გაკვეთილი  
ეკა ცხადაია

## 5. ესე

გაკვეთილი არის შემაჯამებელი. ტარდება ტექსტის დამუშავებისა და ლექსიკური ანალიზის შემდეგ.

დაფაზე გაკრულია ლექსიკონი.

| ტერმინი       | განმარტება                                                                                                                                               |
|---------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| ტოტალიტარიზმი | პოლიტიკური რეჟიმი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სახელმწიფოს მიერ საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში სრული კონტროლისკენ სწრაფვა.                       |
| დემაგოგია     | ცრუ დაპირებით, ფარისევლობით გავლენის მოხდენა პოლიტიკურად შეუგნებელ მასებზე, მათი ნდობის მოსაპოვებლად.                                                    |
| ბრბო          | ადამიანების დიდი ჯგუფი, უმართავი და გაღიზიანებული, რომელშიც ადამიანები გაერთიანებულნი არიან შემოსაზღვრული ფიზიკური სივრცით და მძაფრი ემოციური განწყობით. |
| ტირანია       | ერთპიროვნული მმართველობა, რომლის დროსაც კანონი კი არ არის უზენაესი, არამედ მმართველის ნება-სურვილი.                                                      |

ფლიფჩარტზე დაწერილი ასეთივე, ერთი დამატებითი გრაფით, მასწავლებელს მზად აქვს ჯგუფური მუშაობისთვის .

| ტერმინი | განმარტება | ციტატები ტექსტიდან |
|---------|------------|--------------------|
|         |            |                    |

საორგანოზაციო საკითხები: კლასის დაჯგუფება, სიის ამოკითხვა, გაკვეთილის მიზნის გაცნობა **(3 წუთი)**


## 1. მასწავლებელი სვამს კითხვებს. მოსწავლეები მსჯელობენ **(6 წუთი)**

| კითხვები                                                                                      | სავარაუდო პასუხები                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
|-----------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| რატომ აირჩია მწერალმა მოქმედების ადგილად დანარჩენი სამყაროსგან მოწყვეტილი საირმის ტყე?        | საირმის ტყე კაცის თვალიდან მოშორებული ადგილია, ჩაკეტილი სამყაროს სიმბოლო. აქაურები დანარჩენ ქვეყანას არ იცნობენ და არც დანარჩენი ქვეყანა იცნობს მათ. ჩაკეტილ სივრცეში სეთურს ეადვილება ადამიანების დაბრკელება და დამონება. არც ხელისშემშლელი ადამიანი ჰყავს და არც გარემოება.                                                                                      |
| როგორ ფიქრობთ, რა ფუნქცია აქვს თხრობაში „უცხო კაცების“, „გარედან მოსული ადამიანების“ ჩართვას? | „უცხო კაცები“ უკეთ ხედავენ იმ ყოფას, რომელშიც ამყოფებს სეთური ამ ხალხს. „გარედან მოსულ“ ადამიანს შეუძლია შეადაროს საირმის ტყის მცხოვრებნი და თავისუფალი საზოგადოება. უცხო თვალი ადვილად ამჩნევს იმ წყობის სისასტიკეს, სეთური რომ ქმნის ტყეში დასახლებული ადამიანებისთვის.                                                                                          |
| რა ხერხებით მართავს სეთური თავის საბრძანებელს? რა ფუნქცია აქვთ თაბაგარსა და ასინეთას?         | საკუთარ ნებას ართმევს და შიშსა უწერგავს - „შიში თუ არ აქვს ადამიანს, დაიღუპება... თავის ნებაზე თუ მიუშვით, დაძაბუნდება“ და კიდევ ტყუილ იმედებს უსახავს. ესაა სეთურის მართვის ფილოსოფია. თაბაგარი მისი მარჯვენა ხელია. მისი მეშვეობით ხდება სეთურის აზრების ხალხამდე მიტანა. ასინეთა კი თვალი და ყურია, ჭორების გავრცელებისთვის და სხვების თვალთვალისთვის სჭირდება. |

### აქტივობა მე-2-გონებრივი იერიში (3 წუთი)

მასწავლებელი დაფაზე წერს „საირმის ტყის საზოგადოება“ და სთხოვს, თითო ჯგუფმა ამ საზოგადოების თითო მახასიათებელი გამოკვეთოს მოცემული ტექსტიდან.

აზრთა შეჯერების შემდეგ გამოიკვეთება 3 პრობლემა, საირმის ტყის საზოგადოების 3 მახასიათებელი, რომელსაც ჯგუფის წარმომადგენლები სათითაოდ წერენ დაფაზე:



მოსწავლეები ხსნიან, თუ რატომ ფიქრობენ ასე. აქვე ზუსტდება, თუ რა არის ტოტალიტარიზმი, ბრბო, დემაგოგია, ტირანია (დაფაზე გაკრული ლექსიკონი)(5 წუთი).

ამის შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს პრეზენტაციას

ტოტალიტარიზმზე(<https://onedrive.live.com/view.aspx?cid=a396a6b499d61077&page=view&resid=A396A6B499D61077!2789&parId=A396A6B499D61077!103&app=PowerPoint>)

ანახებს 2 ვიდეოფილმს, ნაწყვეტებს ფილმიდან „დათა თუთაშხია“ - საირმის ტყის ეპიზოდები - **(10 წუთი)**.

არქიფო სეთური<sup>1</sup> - ნაწყვეტი ფილმიდან „დათა თუთაშხია“ - არქიფო სეთურის ეპიზოდი. სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტის ვიზუალური ანალოგი. ამ მონაკვეთის ჩვენებით მოსწავლეები უკეთ იაზრებენ მის სახეს. აკვირდებიან ჟესტს, მიმიკას, ინტონაციას. უკვირდებიან დიალოგებს, გამოაქვთ დასკვნები. არქიფო სეთურის მმართველობისა და არსებობის ფილოსოფიის გაგებისთვის ამ ეპიზოდს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

საირმის ტყის საზოგადოება<sup>2</sup> - ნაწყვეტი ფილმიდან „დათა თუთაშხია“ - საირმის ტყის მცხოვრებთა ჩვეულებრივი დღე. ეს ეპიზოდი ნათლად გვიჩვენებს, თუ

<sup>1</sup> <https://www.youtube.com/watch?v=S7HyEIJPgYs>

<sup>2</sup> [https://www.youtube.com/watch?v=DBTm\\_c378YE](https://www.youtube.com/watch?v=DBTm_c378YE)

როგორია ადამიანის ბრბოდ გადაქცევის მექანიზმი. როდის ხდება საზოგადოება მასა. რა არის ტოტალიტარული მართვის ხერხი, რომლითაც საზოგადოება ერთ, მთლიან, უსახურ, უგუნურ ბრბოდ იქცევა. რა დანიშნულება აქვს შემახილებს „პოლიქრონიონ“.

ამის შემდეგ ურიგებს წინაწარ გამზადებულ სქემას და სთხოვს, ჯგუფებმა ტექსტიდან ამოწერონ განმარტებების შესაბამისი ციტატები (საკმარისი იქნება თითოეულმა ჯგუფმა თითო განმარტება ამოწეროს).

#### სქემა N1

| ტერმინი       | განმარტება                                                                                                                         | ციტატები ტექსტიდან<br>(სავარაუდო პასუხები)                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                            |
|---------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| ტოტალიტარიზმი | პოლიტიკური რეჟიმი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სახელმწიფოს მიერ საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში სრული კონტროლისკენ სწრაფვა. | <ol style="list-style-type: none"> <li>1. „ხალხს თუ უთხარი, ადამიანი ხარო, რას გეტყვის, თუ იცი? ადამიანი თუ ვარ, მეც შემიძლია შენი მაგივრობა გავწიო და გამოდი მაქედანო. გამოხვალ, დაჯდება და გაუბედურდება. ცხენი და სახედარი ხარ-თქვა, უნდა ელაპარაკო! ადვილად იჯერებენ ამას.“</li> <li>2. „ადამიანი სანამ მარტოა და არავის ენდობა, იქამდე ვარგა სხვებისთვისაც და თავისთვისაც, პირის შეკვრას რომ ისწავლიან, მერე კაი აღარაფერი გამოვა მათი ხელიდან.“</li> <li>3. „კაცისთვის კაი თუ გინდა, არ უნდა გაადლო და გააღორმუცელო“.</li> </ol> |
| დემაგოგია     | ცრუ დაპირებით, ფარისევლობით გავლენის მოხდენა პოლიტიკურად შეუგნებელ მასებზე, მათი ნდობის მოსაპოვებლად.                              | <ol style="list-style-type: none"> <li>1. „ხალხზეთუ არ ვიზრუნე და სულ მათ კაი ცხოვრებაზე თუ არ ვიფიქრე, აპა, რისთვის ვარ მე! „</li> <li>2. „ადამიანი უგუნურია და მე მათთვის რომ ვარ, ისინი ჩემ წინააღმდეგ და ეშმაკეულის მხარეს არიან. აპაა!“</li> <li>3. „ბრალი ჩემი, რომ ეშმაკობა მიხდება და გაწვალებული ვარ.“</li> </ol>                                                                                                                                                                                                            |

|         |                                                                                                                                                          |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                            |
|---------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
|         |                                                                                                                                                          | მარა სხვისთვის კაის ქმნა ძნელია, თვითონ თუ არ დაიჩაგრე და დაიტანჯე.“                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |
| ბრბო    | ადამიანების დიდი ჯგუფი, უმართავი და გაღიზიანებული, რომელშიც ადამიანები გაერთიანებულნი არიან შემოსაზღვრული ფიზიკური სივრცით და მძაფრი ემოციური განწყობით. | <ol style="list-style-type: none"> <li>1. „აგერ ბიჭი მოიწევს და დიდ, შამფურისხელა ისარს მიმიზნებს... ეგერ, ე, მთელი გუნდი მოდის, დიდი ქვები უჭირავთ ორივე ხელებში“.</li> <li>2. „ხოლო მომძღვნელმან ჩვენის პურისა და სარჩოსი, მამან ჩვენმან უსათნოესმან და უკეთილესმან, რომელ არს არქიფო, იცოცხლოს მარადჟამს.“</li> <li>3. „რას ამბობს და , მარჩენალზე - მამაძალიო და თაბაგარზე მოსასპობიო!<br/>-მამაძალი და მოსასპობიო? გაგვაუბედუროს უნდა, ხომ?“</li> </ol>                                                                               |
| ტირანია | ერთპიროვნული მმართველობა, რომლის დროსაც კანონი კი არ არის უზენაესი, არამედ მმართველის ნება-სურვილი.                                                      | <ol style="list-style-type: none"> <li>1. „ხუთ საათზე ვაყენებ ხალხს“..</li> <li>2. „კაცი შიშსა და მოკრძალებას რომ დაკარგავს, მაშინ გაუბედურდება სწორედ.“</li> <li>3. „გოჭები დაზარდა მაგან, 9 იყო. 6 მე წამოვიყვანე, 3 მას დავუტოვე. გაყიდა, ფული შეუვიდა ოჯახში და მიტომ თქვა. 8 უნდა წამომეყვანა, მისთვის 1 უნდა დამეტოვებინა“.</li> <li>4. „შენ უნდა მოუგონო ხალხს იმედი. მოვიგონე მე ჩემი ხალხისთვის იმედი და ნამეტანი იმედიანად მყავს ყველა.“</li> <li>5. „ახალი ფანდის მოგონება ჯობს სარჩოს მომატებას. უფრო საიმედოა ეს“.</li> </ol> |

ჯგუფები მუშაობენ და ავსებენ სქემას. **(8 წუთი)**

ამის შემდეგ ხდება ნამუშევრების პრეზენტაცია. **(10 წუთი)**

„მოსე ზამთარაძის ნაამბობი“ - შემაჯამებელი გაკვეთილი  
ეკა ცხადაია

შესვენება

მეორე გაკვეთილი:

საირმის ტყის საზოგადოებაში არსებული პრობლემების გასაცნობიერებლად, მოსწავლეები უნდა დააკვირდნენ ლიტერატურულ პერსონაჟებს. შეადარონ ერთმანეთს აქიფო სეთური და დათა თუთაშხია, დააკვირდნენ მათ ხასიათს, ქცევებს, ემოციებს. დაინახონ რა არის მიუღებელი და რა - არა.

ამისთვის ვიყენებთ შემდეგ სქემას. მოცემულ სქემას მოსწავლეები შეავსებენ როგორც უარყოფით, ასევე დადებით პერსონაჟზე. შესაძლებელია, მასწავლებელმა ერთ ჯგუფს მისცეს დადებითი, მეორეს უარყოფითი პერსონაჟის დასახასიათებელი სქემა. **(6 წუთი)**

სქემა N2

|                                                                                                  |                                                                                    |
|--------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------|
| როგორ გამოიყურება პერსონაჟი?<br>(აღწერეთ მისი ძირითადი მახასიათებლები)<br>1.<br><br>2.<br><br>3. | რა ამბობს პერსონაჟი?<br>(დაწერეთ, რა არის მისი სათქმელი)<br>1.<br><br>2.<br><br>3. |
| როგორ იქცევა პერსონაჟი?<br>(აღწერეთ მისი ქცევა სხვადასხვა სიტუაციაში)<br>1.<br>2.<br>3.          | რას გრძნობს პერსონაჟი?<br>(აღწერეთ მისი განცდები)<br>1.<br>2.<br>3.                |
| რას ფიქრობთ პერსონაჟზე?<br>(დაწერეთ თქვენი შეხედულება მის შესახებ)                               |                                                                                    |

ამის შემდეგ მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციას და წარმოადგენენ პერსონაჟების ძირითად განმასხვავებელ ნიშან-თვისებებს. **(6 წუთი)**

მასწავლებელი სვამს კითხვებს, მოსწავლეები პასუხობენ. **(6 წუთი)**

| კითხვები                                                                             | სავარაუდო პასუხები                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |
|--------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| შეიძლება თუ არა საირმეს ტყე განვაზოგადოთ და ტოტალიტარული სისტემის ნიმუშად მივიჩნიოთ? | საირმის ტყე არის მეტაფორა და ის ტოტალიტარული რეჟიმის სიმბოლოა. აქვს ყველა მახასიათებელი, რაც ასეთ რეჟიმებს აქვს: ჩაკეტილი საზოგადოება, ბელადი, კანონი არის ბელადის სიტყვა, ადამიანები ბრბოდ არიან ქცეულნი, მათ არ აქვთ საკუთარი ნება. უკრიტიკოდ იღებენ ბელადის ბრძანებებს. ტოტალიტარული რეჟიმები ყველა დროსა და ყველა ქვეყანაში მსგავსად ხასიათდებიან. ერთმანეთს ჰგვანან, ამიტომ სურამის ტყეში აღწერილი საზოგადოება შეიძლება მივიჩნიოთ ასეთი ტოტალიტარიზმის ნიმუშად.      |
| რა არის შედეგი ასეთი სისტემის?                                                       | შედეგი ასეთი სისტემისა არის ადამიანის ბრბოს წევრად გადაქცევა, ნების არქონა, სრული მონობა.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
| რა შეიძლება დავასკვნათ?                                                              | როცა ადამიანი ემორჩილება სხვათა ბრძანებებს, ეგუება უსამართლობას, თანახმაა, მის ნაცვლად სხვამ იფიქროს და გადაწყვიტოს, რა ჯობს მისთვის, როცა ის აღიარებს ბელადის არსებობას, იწყება მისი მონობა. ადამიანების უსახურ ბრბოდ გადაქცევის კიდეც ერთი საშუალებაა მასობრივი გამოსვლები (აღლუმები), ზეიმები, რომლის მონაწილეებმა უსასრულოდ უნდა იმეორონ ბელადის სადიდებელი ტექსტები, სიმღერები, ლოზუნგები(პასუხები სავარაუდოა, შესაძლებელია, მოსწავლეებმა სხვა აღმოჩენები გააკეთონ). |

ფილმის "ბელადები" ჩვენება, (8 წუთი)

(<https://www.youtube.com/watch?v=fX82ZQpNR6Q&feature=youtu.be> დოკუმენტურ

წყაროებზე დაყრდნობით ვიდეო შექმნა მეთოდური მასალის ავტორმა. ფილმში ნაჩვენებია მე-20 საუკუნის ტოტალიტარული რეჟიმების შემქმნელების - მუსოლინის, ჰიტლერისა და სტალინის საზოგადოებასთან ურთიერთობის მონაკვეთები).

ვიდეო გახლავთ ისტორიული წყარო და მასწავლებელი იყენებს:

„მოსე ზამთარაძის ნაამბობი“ - შემაჯამებელი გაკვეთილი  
ეკა ცხადაია

1. მედიარესურსზე დაკვირვების შესწავლისთვის;
2. ნაწარმოებში (ფილმში) გადმოცემული სინამდვილის ანალოგიისთვის.

მასწავლებლის ინსტრუქცია: ფილმში ნაჩვენებია მეოცე საუკუნის ცნობილი დიქტატორების კადრები. გთხოვთ, უყუროთ ვიდეოს და თან გააკეთოთ ჩანაწერები, დააკვირდეთ მუსიკას, წამყვანის ხმას, კადრებს.

ჩანაწერები გააკეთეთ ცხრილში: (5 წუთი)

| სცენა N1                  | სავარაუდო პასუხი                                                                                           |
|---------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| დიქტატორის სახელი         | დუჩე, ბენიტო მუსოლინი                                                                                      |
| ეპიზოდის შინაარსი         | ხდება იტალიაში                                                                                             |
| მუსიკა/ხმა                | წამყვანი საუბრობს აღფრთოვანებული ხალხის შეძხილების ფონზე.                                                  |
| წამყვანის ხმა             | მშვიდი, გაწონასწორებული                                                                                    |
| კადრი                     | მუსოლინი ესალმება ხალხს, ის ფაჯრიდან იყურება, ხალხი სიხარულით ესალმება ბელადს. ხალხი გამოსულია პლაკატებით. |
| დიქტატორის სახე           | მუსოლინი მტკიცედ და ომახიანად ესალმება ხალხს. ის ძლიერი და პრინციპული ადამიანი ჩანს.                       |
| როდისაა გადაღებული ფილმი? | 1940 წელს                                                                                                  |

| სცენა N2          | სავარაუდო პასუხი                                                                                                  |
|-------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| დიქტატორის სახელი | ფიურერი, ადოლფ ჰიტლერი                                                                                            |
| ეპიზოდის შინაარსი | ჰიტლერი ხვდება პარტიის წევრებს, გერმანია, 1939.                                                                   |
| მუსიკა/ხმა        | ამაღლებული განწყობაა. ჰიტლერი ამბობს სიტყვას ხალხის შეძხილების ფონზე.                                             |
| წამყვანის ხმა     |                                                                                                                   |
| კადრი             | ბელადი მიმართავს პარტიის წევრებს. ის ტრიბუნაზე დგას, ხალხი სიხარულით ესალმება ბელადს. ხალხი გამოსულია პლაკატებით. |
| დიქტატორის სახე   | მტკიცედ და ომახიანად საუბრობს.                                                                                    |

„მოსე ზამთარაძის ნაამბობი“ - შემაჯამებელი გაკვეთილი  
ეკა ცხადაია

|                           |                                    |
|---------------------------|------------------------------------|
|                           | მოქმედებს თანაპარტიელთა ემოციებზე. |
| როდისაა გადაღებული ფილმი? | 1939 წელს                          |

|                           |                                                                           |
|---------------------------|---------------------------------------------------------------------------|
| სცენა N3                  | სავარაუდო პასუხი                                                          |
| დიქტატორის სახელი         | ბელადი, იოსებ სტალინი                                                     |
| ეპიზოდის შინაარსი         | სტალინისადმი მიძღვნილი სიმღერის ფონზე ნაჩვენებია საზეიმო მარში 1950 წელს. |
| მუსიკა/ხმა                | ამაღლებული განწყობაა. ისმის სტალინისადმი მიძღვნილი სიმღერა.               |
| წამყვანის ხმა             |                                                                           |
| კადრი                     | დროშებით, ლოზუნგებით შექმნილ სანახაობას სტალინი უყურებს კრემლიდან.        |
| დიქტატორის სახე           | გამოიყურება მტკიცედ, თავდაჯერებულად.                                      |
| როდისაა გადაღებული ფილმი? | 1950 წელს                                                                 |

სამუშაო ნაწილდება ჯგუფებში. თითოეული ჯგუფი აკეთებს ერთ რომელიმე ბელადზე პრეზენტაციას. (6 წუთი)

### მასწავლებელი:

თქვენ შეისწავლეთ ტექსტი, ისაუბრეთ ტოტალიტარულ სისტემაზე, მმართველზე. გაეცანით ნაწყვეტებს ნაწარმოების მიხედვით შექმნილი ფილმიდან და მეოცე საუკუნის დოკუმენტურ კადრებს. ამ ორ მასალაზე დაყრდნობით ვუპასუხოთ შემდეგ კითხვებს (თითო ჯგუფს თითო კითხვა) (5 წუთი):

|                                                                         |                                                                                                                                                                                                                                                                         |
|-------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| კითხვა                                                                  | სავარაუდო პასუხი                                                                                                                                                                                                                                                        |
| შეიძლება თუ არა ისტორიული სინამდვილე და მხატვრული სინამდვილე შევადაროთ? | მხატვრული, ტექსტში აღწერილი სინამდვილე და დოკუმენტური კადრები ჰგვანან ერთმანეთს. ორივეგან ნაჩვენებია, რა ემართება საზოგადოებას, რომელიც ირჩევს ბელადს. ბელადები ყველა ქვეყანაში და ყველა დროში ერთნაირად იქცევიან - საკუთარ ნებას ახვევენ ადამიანებს, ემყარებიან ძალას. |
| რა საერთოს ხედავთ საირმის ტყისა და ამ ფილმში ნანახ საზოგადოებას შორის?  | ნაწარმოებში აღწერილი და დოკუმენტურ ფილმში ნაჩვენები საზოგადოება ირჩევს ბელადს.                                                                                                                                                                                          |

|                                                                              |                                                                                                                                           |
|------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| დასკვნის სახით მოკლედ<br>გადმოეცით, თუ რა გაიგეთ<br>დღევანდელი გაკვეთილიდან. | ა) ტოტალიტარიზმი მონობის გზაა. ბ) ტირანი<br>მმართველები ერთმანეთს ჰგვანან მიზნებით და<br>მართვის ხერხებით. გ) ბელადომანია იწვევს მონობას. |
|------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|

**საშინაო დავალება:**

მასწავლებელი სთხოვს, დააკვირდნენ საკუთარ შევსებულ სქემას და არქიფო  
სეთურის გამონათქვამებზე დაყრდნობთ გადმოსცენ „მისი ცხოვრების  
ფლოსოფია“ მცირე ესეთი (2 წუთი).

მასწავლებელი აფასებს მოსწავლეებს [პრეზენტაციისა](#) და [დისკუსიის](#) შეფასების  
კრიტერიუმებით **2-3 წუთი**

| დისკუსიის შეფასების კრიტერიუმები     |                                                                                                                                                                      |      |
|--------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------|
| #                                    | საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთება                                                                                                                           | ქულა |
| 1                                    | მონაწილე საკუთარ აზრს ყოველთვის არგუმენტირებულად აყალიბებს და ასაბუთებს.                                                                                             | 2    |
|                                      | მონაწილე საკუთარ აზრს, ძირითადად, არგუმენტირებულად აყალიბებს.                                                                                                        | 1    |
|                                      | არგუმენტაცია ზოგჯერ ბუნდოვანია/სუსტია ან არადაამაჯერებელია.                                                                                                          | 0    |
| სხვისი აზრის მოსმენა, გათვალისწინება |                                                                                                                                                                      |      |
| 2                                    | მონაწილე ყოველთვის უსმენს სხვის მოსაზრებას, ითვალისწინებს, ავითარებს ან აბათილებს სხვის აზრს.                                                                        | 2    |
|                                      | სხვისი აზრი მონაწილისთვის უმნიშვნელოა, ხშირ შემთხვევაში არ ახდენს რეაგირებას, ან მხოლოდ ფორმალურად/ან აკრიტიკებს პიროვნებას და არა აზრს.                             | 1    |
|                                      | მონაწილე თითქმის არ უსმენს სხვის აზრს და მხოლოდ თავის მოსაზრებაზე აპელირებს.                                                                                         | 0    |
| არავერბალური კომუნიკაცია             |                                                                                                                                                                      |      |
| 3                                    | მონაწილეს შეუძლია ეფექტურად აღიქვას და გამოიყენოს არავერბალური კომუნიკაციის ფორმები (თვალით, ქესტებით, გამომეტყველებით, ხმით), ხშირად ამყარებს არავერბალურ კონტაქტს. | 2    |
|                                      | მონაწილე იშვიათად იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს, თუმცა ადეკვატურად.                                                                                      | 1    |
|                                      | მონაწილის მიერ გამოყენებული არავერბალური კომუნიკაციის ფორმები ძირითადად არაადეკვატურია.                                                                              | 0    |
| წესებისა და პროცედურების დაცვა       |                                                                                                                                                                      |      |
| 4                                    | მონაწილე მაქსიმალური სიზუსტით იცავს დისკუსიისთვის წინასწარ მომზადებულ წესებს.                                                                                        | 2    |

|   |                                                                                                                             |   |
|---|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---|
|   | მონაწილე ხშირ შემთხვევაში არ იცავს დისკუსიისთვის წინასაწარ მომზადებულ წესებს.                                               | 1 |
|   | მონაწილე თითქმის საერთოდ არ იცავს დისკუსიისთვის წინასაწარ მომზადებულ წესებს.                                                | 0 |
|   | საკუთარი და სხვათა მოსაზრებების და შეხედულებების ანალიზის საფუძველზე დასკვნის გამოტანა                                      |   |
| 5 | მონაწილეს დისკუსიის პროცესში ყოველთვის გამოაქვს დასკვნა/დასკვნები, აჯამებს, აანალიზებს და ამის საფუძველზე იღრმავებს ცოდნას. | 2 |
|   | მონაწილე ცდილობს დასკვნების გამოტანას, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეს მხოლოდ და მხოლოდ აზრების ჩამოყალიბებაა.                   | 1 |
|   | მონაწილე არ ცდილობს დასკვნების გამოტანას და მხოლოდ აზრების გამოთქმით კმაყოფილდება.                                          | 0 |

| პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები  |                                                                                                                                                                      |   |
|--------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---|
| სათაურთან, თემატიკასთან შესაბამისობა |                                                                                                                                                                      |   |
| 1                                    | შეესაბამება სათაურს, საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას; კარგად აქვს ორგანიზებული (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა). | 3 |
|                                      | მსჯელობს, მაგრამ თხრობისას დარღვეულია ლოგიკური ბმა. აკლია თხრობის რომელიმე ელემენტი (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა).                                            | 2 |
|                                      | საკითხი არასრულად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია ან აკლია ორგანიზებულობა.                                                                                 | 1 |
|                                      | პრეზენტაცია არ შეესაბამება სათაურს. ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, არ არის ორგანიზებული.                                                                         | 0 |
| არგუმენტირება, პარალელები            |                                                                                                                                                                      |   |
| 2                                    | მსჯელობს არგუმენტირებულად, დამაჯერებლად, მოჰყავს ციტატები, ავლებს პარალელებს.                                                                                        | 3 |
|                                      | მსჯელობა ჩანს, მაგრამ არის რამდენიმე არსებითი შეცდომა, არ ავლებს პარალელებს.                                                                                         | 2 |
|                                      | პასუხი მოიცავს წაკითხული ინფორმაციის გაუაზრებელ გამეორებას; იშვიათად ამჟღავნებს კრიტიკული აზროვნების უნარს.                                                          | 1 |

|                                          |                                                                                                                                     |   |
|------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---|
|                                          | პრეზენტაცია არ შეესაბამება საკითხს,<br>გადმოცემული საკითხები არსებითად მცდარია;<br>პრეზენტაცია ძალზე ბუნდოვანი და არაინფორმაციულია. | 0 |
| <b>ვიზუალური მასალის გამოყენება</b>      |                                                                                                                                     |   |
| 3                                        | ეფექტურად იყენებს სლაიდშოუს,<br>პლაკატს, დაფას და ა.შ. ვიზუალიზაციის სხვა ხერხებს.                                                  | 2 |
|                                          | ვიზუალიზაციის ხერხები გამოყენებული აქვს, თუმცა არაეფექტურად,<br>უმართებულოდ.                                                        | 1 |
|                                          | ძალზე იშვიათად ან არაადეკვატურად იყენებს ვიზუალიზაციის<br>ხერხებს.                                                                  | 0 |
| <b>რეგლამენტი, საკომუნიკაციო უნარები</b> |                                                                                                                                     |   |
| 4                                        | იცავს რეგლამენტს, ფლობს საკომუნიკაციო უნარებს (ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი,<br>აუდიტორიის ფლობა).                                     | 2 |
|                                          | უჭირს აუდიტორიის ყურადღების მიპყრობა, ან ვერ იცავს რეგლამენტს.                                                                      | 1 |
|                                          | ვერ ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან, ლაპარაკობს<br>გაურკვევლად; არ იცავს რეგლამენტს.                                                | 0 |
|                                          |                                                                                                                                     |   |

გამოყენებული რესურსები:

ფლიფჩარტები, დაფა, პროექტორი, ლეპტოპი, პრეზენტაცია, სახელმძღვანელოები.  
ვიდეოფილმები

გამოყენებული ლიტერატურა:

- ქართული ენა და ლიტერატურა, მე-9 კლასის სახელმძღვანელო. ვ. როდონაია,  
ა. არაბული, ნ. ნაკუდაშვილი, მ. ხუციშვილი - გამომცემლობა „სწავლანი“.
- სამოქალაქო განათლების ლექსიკონი. თბ.2013 დ.ზურაბიშვილი, გ.  
გობრონიძე.
- ჟურნალი „მასწავლებელი“, #4 20 14წ.
- <https://www.youtube.com/watch?v=S7HyEIJPgYs>-ნაწყვეტი ფილმიდან „დათა  
თუთაშხია“ - არქიფო სეთურის ეპიზოდი. სახელმძღვანელოში მოცემული  
ტექსტის ვიზუალური ანალოგი.  
ამ მონაკვეთის ჩვენებით მოსწავლეები უკეთ იაზრებენ არქიფო სეთურის  
სახეს. აკვირდებიან ჟესტს, მიმიკას, ინტონაციას. აკვირდებიან დიალოგებს,

გამოაქვთ დასკვნები. არქიფო სეთურის მმართველობისა და არსებობის ფილოსოფიის გაგებისთვის ამ ეპიზოდს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

5. [https://www.youtube.com/watch?v=DBTm\\_c378YE](https://www.youtube.com/watch?v=DBTm_c378YE) - ნაწყვეტი ფილმიდან „დათა თუთაშხია“ - საირმის ტყის მცხოვრებთა ჩვეულებრივი დღე.

ეს ეპიზოდი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორია ადამიანის ბრბოდ გადაქცევის მექანიზმი; როდის ხდება საზოგადოება მასა; რა არის ტოტალიტარული მართვის ხერხი, რომლითაც საზოგადოება ერთ, მთლიან, უსახურ, უგუნურ ბრბოდ იქცევა; რა დანიშნულება აქვს შემახილებს „პოლიქრონიონ“.

6. „ბელადები“ [https://youtu.be/dgf\\_Zop14VU](https://youtu.be/dgf_Zop14VU)

დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით ვიდეო შექმნა მეთოდური მასალის ავტორმა.

ნაჩვენებია მე-20 საუკუნის ტოტალიტარული რეჟიმების შემქმნელების - მუსოლინის, ჰიტლერისა და სტალინის საზოგადოებასთან ურთიერთობის მონაკვეთები.

ვიდეო გახლავთ ისტორიული წყარო და მასწავლებელი იყენებს:

1. მედიარესურსზე დაკვირვების შესწავლისთვის; 2. ნაწარმოებში (ფილმში) გადმოცემული სინამდვილის ანალოგიისთვის.